# შეთანხმების აქტი N1

9.02.2012 წლის #74 ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ

**ქ. თბილისი** **23 აგვისტო 2012 წელი**

ერთის მხრივ,
**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო**
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
**შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"**
წარმოდგენილი დირექტორის აბესალომ გურგენიძის სახით,
მისამართი: ქ. ბათუმი, ც. აბუსერიძის ქ. №2 ტელ: 577 302 930
საიდენტიფიკაციო კოდი: 212841424,
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი"-ს ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: MIBGGE22
IBAN: 360801013400021
(შემდგომში „მიმწოდებელი")

2012 წლის 9 თებერვალს გაფორმებული N74 ხელშეკრულების მე-10 მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-20 მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, კერძოდ:

1. ხელშეკრულების 2.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **1 550,00 ლარს (ათას ხუთასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)**."
2. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.

წინადებარე „შეთანხმების აქტი" წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით.

**შემსყიდველი:**

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო**

გიორგი არსოშვილი

**მიმწოდებელი:**

**შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"**

აბესალომ გურგენიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური
კლინიკური საავადმყოფო

G E O R G I A

BATUMI REPUBLICAN
CLINICAL HOSPITAL LTD

6004 ბათუმი, გბელ აბუსერიძის ქ. №2. E-mail: respublikuri@list.ru ტელ. (888 222) 7 68 07

ქ. ბათუმი 15 აგვისტო 2012 წელი

## ბრძანება № 01-14/516

### დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, დირექტორის მოადგილის სამედიცინო დარგში – მთავარი ექიმის ნანა ცინცაძისათვის კუთვნილი შვებულების მიცემის შესახებ

საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლის I-ლი პუნქტის, 22-ე მუხლის I-ლი პუნქტისა და დაწესებულების წესდების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

### ვბრძანებ:

1. ქ. მიუნხენის ევროპის კარდიოლოგთა კონგრესზე გამგზავრებასთან დაკავშირებით ნ. ცინცაძეს მიეცეს 2011 წლის კუთვნილი შვებულება ამა წლის 22 აგვისტოდან 05 სექტემბრის ჩათვლით;
2. დირექტორის და დირექტორის მოადგილის სამედიცინო დარგში - მთავარი ექიმის მოვალეობის შესრულება დაევალოს ამბულატორიულ დიაგნოსტიკური დეპარტამენტის უფროსს გიორგი კიკაბიძეს;
3. დაევალოს საფინანსო-საბუღალტრო სამსახურს მოახდინოს შესაბამისი ანგარიშსწორება;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს (მ. სხილაძე) აღნიშნული ბრძანება გააცნოს შესაბამის პირებს;
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი ცინცაძე ნანა ცინცაძე

BATUMI REPUBLICAN CLINICAL HOSPITAL 245428830